საქართველოს სახელმწიფო მინისტრი
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში

STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 367
24/02/2020

367-1-2-202002241332

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს
ბატონ გრიგოლ ლილუაშვილს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსს
ქალბატონ ნათია მეზვრიშვილს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ დავით ზალკალიანს

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსს
ბატონ ლერი ბარნაბიშვილს

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის უფროსს
ბატონ ვლადიმერ იმნაძეს

ინგოროყვას ქ. 7, 0134 თბილისი
7, Ingorokva Str., 0134 Tbilisi
(995 32) 292 18 91 (995 32) 292 16 50
www.smr.gov.ge

როგორც მოგეხსენებათ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ეგიდით მოქმედი, შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირებთან დაკავშირებული საკოორდინაციო მექანიზმების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს 1990-იანი წლების და 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიების, იდენტიფიკაციის და ოჯახებისთვის გადაცემის პროცესი. ჰუმანიტარული მექანიზმების მუშაობის შედეგად იდენტიფიცირებულია 178 პირი, თუმცა 2300-ზე მეტი უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ბედი და ადგილსამყოფელი კვლავ გაურკვეველია. სამუშაოების ტემპის გაზრდას და მეტად სტრუქტურირებული სისტემის შექმნას წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის რეკომენდაციაც ითვალისწინებს.

როგორც თქვენთვის ცნობილია, 2019 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის № 505 დადგენილებით შეიქმნა შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების მოძიებისა და გადმოსვენების უწყებათაშორისი კომისია, რომლის მიზანია 1990-იანი წლების და 2008 წლის საბრძოლო მოქმედებების შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედისა და ადგილსამყოფლის დადგენა და პროცესში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინაციის გაზრდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 25 თებერვალს, 14:00 საათზე, მთავრობის კანცელარიაში, დაგეგმილია უწყებათაშორისი კომისიის პირველი შეხვედრა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ დაგეგმილ შეხვედრაში თქვენი უწყებიდან წარდგენილი კომისიის წევრის მონაწილეობა.

პატივისცემით,

ქეთევან ციხელაშვილი

სახელმწიფო მინისტრი

ხელმძღვანელობა